# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 228 ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1909 წ. № 228



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ისახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

„დროების" კანტორა.


ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან წილს გადასდებენ

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.



წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წელს

მამა დავითის საქალებო სკოლის სასარგებლოთ

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ დ. მგალობლიშვილის სადებიუტოდ კომ. ვ. სარდუსი.

## „აი გიდი მეგობრებო"

4 მოქმედებად თარგ. კ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. ზედევანოვი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 11მ. 70 კ.-დან 5 მ. 80 კ.-მდე, პარტერი 2 მ. 70 კ.-დან 75 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**საღამოს გამგე კნ. ელისაბედ ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

მზადდება წარმოსად. „ორი ობოლი" ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

დრამა 4 მოქმედებად ბეიერლეინისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 24 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად: „ღალატი" სუმბათაშვილისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(8—3) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ა. ზ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^{1}/_{2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—5.—180)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღ; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—12)



**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—37)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ზუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—86)

**ექიმმა ქუთაისში. ვოლოხმა** ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—4)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—272)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—23)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—32)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—24)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში** 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—90)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—82

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—29)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—19)

**ექიმი-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი** იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (ბაგუთის ქუჩა) აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—5)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი გ. მაგაკიანი.** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—39)



## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—29)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—ნ.—104)



**ქ. თელავში**

**იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. ადრესი: Телавъ. Софьѣ Іосифовнѣ Симоновой. Бульв. пер. 2, собственный домъ. (5—უ.—5)


## გარდამავალი ხანა

1.

რევოლიუციის დამარცხების შემდეგ საზოგადოებას რაღაც მოწყენილობა და მოქანცულობა დაეტყო. ყველა იმასა სცდილობდა, რომ განზე გასულიყო, დამალულიყო სადმე. მოსწყინდა ლაპარაკი, მოსწყინდა საზოგადოებაში ყოფნა, მოსწყინდა საზოგადოების სამსახური. წინად თუ „საზოგადოებრივობის" კულტი, ცოცხალი გრძნობა იყო ინტელიგენტის გულში, ახლა თითქოს მიმქრალა იგი, მინელებულა და ამ გულშიროგორღაც შეუმჩნევლად მომწიფებულა და აღზარდილა პირადი ცხოვრების სურვილი. პიროვნება, საზოგადოების და ხალხის სამსახურით დამონებული, თითქოს განთავისუფლებას ჰლამობს. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია უკიდურესს საზოგადოებრივ აღფრთოვანებისა და აღელვების შემდეგ. ადამიანი ცას სწვდებოდა თავის სურვილებით და მისთვის მიუწვდომელი არა იყო რა ამ ბედკრულ მიწაზე. და როდესაც იგი წააწყდა კლდეს, რომლის გარღვევა ვერ მოახერხა, დაღონდა, შედგა პატარა ხანს და ღონე მიხდილსავით ხელები გაშალა: ჩემს წინ კლდეა, შუბლიც გავიჩეხე, ისე მივეხალე ამ კლდეს. რაო, რისთვის? ხალხი, საზოგადოება! კარგი სიტყვებია. მაგრამ ვერა ხედავთ ამ კლდეს და ამ სისხლს, შუბლიდან რომ მოდის. არ მინდა არც თქვენი ხალხი, არც თქვენი კონსტიტუცია, არც თქვენი სოციალიზმი. თავი გამანებეთ, მე მინდა მე ვიყო. ვითამ რატომ არაო? ჩემი მე, ჩემი პიროვნება ხელში მიჭირავს, საზოგადოება კი... რა [არის ეგ თქვენი საზოგადოება! ძალიან დიდი რამეც რომ იყოს, ხომ ნახეთ ის კლდე და ეს სისხლი. თავი გამანებეთ, ნუ მტანჯავთ, გამეცალეთ და სოციალიზმს ნუღარ გამაგონებთ. და აკი მართლაც მიყუჩდა ცხოვრების მაჯის ცემა. ამასობაში კი საზოგადოებრივობით მოღლილ ინტელიგენტს შესაფერი საზრდო და გასართობი დაუმზადეს.

ლაპარაკი დავიწყე ქართველ საზოგადოების შესახებ. მაგრამ ჩვენს ინტელიგენტურ საზოგადოებას არავითარი ორიგინალური ხასიათი აღარა აქვს. პატარა წრეები თუ არ მივიღეთ მხედველობაში, რომელნიც დასტრიალებენ და პატრონობენ ეროვნულ საქმეებს, დიდი ნაწილი ქართველ საზოგადოებისა დღეს მიმბაძავია მხოლოდ რუსის საზოგადოებისა და მის კულტურულ ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა და ახალგაზდობამ თავის სულიერ ვითარებაში განიცადა ის, რაც განიცადა რუსის საზოგადოებამ და ახალგაზდობამ. ასე რომ ჩვენი ლაპარაკი იმის შესახებ, რაც გამოუვლია რუსეთის ახალგაზდობას და ინტელიგენციის ნაწილს ამ უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში, ქართველ საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზდობის ერთის დიდის ნაწილის სულიერ ვითარების სურათიც იქნება.

პიროვნების განთავისუფლება „საზოგადოებრივობისაგან" ახალი მცნებაა, ახალი დროშაა. ამ დროშის ქვეშ თავს იყრის აჭრელებული საზოგადოება—აქ შანტაჟისტები და ექსპროპრიატორებიცა, ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზდობა, არციბაშევის და პშიბიშევსკის თაყვანისმცემელი, იმედ დაკარგული ინტელიგენტი, რომელსაც მეტერლინკის და იბსენის კითხვის ხალისი გაქრვია, აქვე „ფილოსოფოსებია" თეოკრატიისა, მისტიკურ ანარქიზმისა და კონკრეტულ იდეალიზმისა და ბოლო ხანებში ამ ჯგუფს „Вѣхи"-ს ავტორებიც მიემატნენ,—რომელთა წერილები ინტელიგენციის შესახებ უნდა ჩაითვალოს თეორიულ სინტეზად „საზოგადოებრივობისაგან" გამანთავისუფლებელ მოძრაობისა. გასაოცარი საქმეა, მაგრამ რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ შანტაჟისტი—ექსპროპრიატორი, რომელიც თავის პირად დაკმაყოფილებას სცემს მხოლოდ პატივს და „Вѣхи"-ს რომელიმე თანამშრომელი, ვსთქვათ, გერშენზონი, რომელიც წინაამდეგია, რომ ხალხს და საზოგადოებას ემსახუროს, რაღაც კავშირით არიან გადაბმულნი. ეს კავშირი, რა თქმა უნდა, მორალური არ არის—შანტაჟისტს და გერშენზონს სხვა და სხვანაირად ესმით პიროვნების ღირსება


## სახალხო სახლი

ძმ. ზუბალაშვილებისა

კვირას, 18 ოქტომბერს, დილის სწორედ 11 საათზე,

**ა. ი. მალხაზიანი**

**წაიკითხავს ლექციას**

## გ. დ' ანუნციოსა და პ. ტეტმაიერის

**შესახებ.**

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში 50 კ.-დან 5 კ.-დე. (უ. 4—1)



## „ტფილისის სობრანიე"

ხუთშაბათს, 15 ოქტომ. 1909 წ.,

## საოჯახო საღამო.

**საღამოზე დაუკრავს საზანდარი.**

ანონსი: შემდეგი საოჯახო საღამო შაბათს, 17 ოქტომ. (1—508—1)



## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 17)



კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაობა

## „კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ეგზავნება ჩვენის ხარჯით ტფილისში.

По такой этикеткѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. №7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный №7 (Бывш. Чемпковскаго, ул. 15 №29)

(100—6.—6)



**იყიდება ყველგან ახალი**

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და სოხუმჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Соранагъ" Гачечиладзе. (30—ნ.—29)

და პიროვნების აზრი და სიცოცხლე. მაგრამ ერთიც და მეორეც საზოგადოებრივობის პრინციპის წინააღმდეგ მოქმედებს. და აქ არის მათი ნათესაობა.

პიროვნების განთავისუფლების ფილოსოფია,—ის, რომელიც ამ ჟამად გვაქვს სახეში, იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას ყოველივე ბორკილი, რომელიც ზღუდავს ადამიანის მისწრაფებას განუსაზღვრელ თავისუფლებისაკენ. ამისთანა ბორკილი არის არსებული სქესობრივი ურთიერთობა (ოჯახი) და საზოგადოებრივობა (სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება). ამ ნიადაგზე აღმოცენდნენ „სანინიზმი“, „გატიტვლებულ ადამიანის“ თეორია და სხვა და სხვა მიმართულების მისტიკური მოძღვრებანი. **ფსიხოლოგიური** წყარო ამ მოვლენათა ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებისა არის დამარცხებული რევოლუციით გამოწვეული სასოწარკვეთილება და საზოგადოებრივ იდეალების განხორციელებისადმი რწმენის დაკარგვა. ხოლო ამ მოძრაობის **თეორიული** საფუძველი კი უფრო ღრმა და შორეულია—ეს არის ადამიანის მუდმივი წყურვილი სამუდამო და უცვლელ საფუძველზე დაამყაროს თავისი პიროვნული ცხოვრება. მაგრამ, საუბედუროდ, მიუხედავად ამ ფრიად პატივსადებ მოტივებისა, პიროვნების განთავისუფლების მოძრაობამ უშნო და მახინჯი ხასიათი მიიღო რუსეთის კულტურულ საზოგადოებაში.

ოჯახს და პოლიტიკურ საზოგადოებას შეებრძოლა პიროვნება. ეს ამბავი ახალი არ არის. თანამედროვე ოჯახის და საზოგადოების ფორმებს დიდი ხანია ებრძვის მოწინავე კაცობრიობა. ანარქისტებს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებად სთვლიან. მაგრამ ისინი ებრძვიან პოლიტიკურ საზოგადოებას (სახელმწიფოს) და არა თვით პრინციპს საზოგადოებრივობისას, რომელიც, პირიქით, საფუძვლად უდევს კომუნისტურ მოძრაობას. აქ კი საზოგადოებრივობაა ათვალწუნებული.

გადისროლეს თუ არა ამგვარი ლოზუნგები საზოგადოებაში, ამ ლოზუნგებს უკმაყოფილო და ნერვებ აღგზნებულმა ინტელიგენციის და ახალგაზრდობის ნაწილმა ჩაავლო ხელები. ხოლო აქვე მეზობლად დაბანაკდნენ ყველა ჯურის ავანტიურისტები, მოდერნ სტილის ლიტერატორები და ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ყოველთვის ვისიმე ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება.

სანინი, ფალკი და ამ ხასიათის „მსუნაგი ზეკაცნი“ გახდნენ გმირებად. სანინი სიცოცხლის მოტრფიალეა. იგი ეძებს სიამოვნებას და მხოლოდ სიამოვნებას. „Клубничка“-ს რომ იტყვიან რუსები, ძლიერ უყვარს. ამ სფეროში იგი სინდიკალისტების ტაქტიკას აღიარებს— L'action directe-ს (პირდაპირ იერიშს). ეს ტაქტიკა სასწაულთ-მოქმედი გამოდგა და სანინს ცხოვრებაში აუარებელი მიმდევარი გაუჩნდა, მით უფრო, რომ „სანინიზმი“ განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეწყნარებულ და მიღებული იყო მშვენიერ სქესის ზოგიერთ წრეებში. მაგრამ სანინს ფილოსოფოსობა არ უყვარს. ახალგაზრდობას კი ფილოსოფია ჰხიბლავს. პშიბიშევსკის ფალკიც მის გმირად ხდება. ფალკი!.. ო, ფალკი!.. რა ღრმა აზრი, რა ტიტანიური აღმაფრენა, რა ჩახედვაა სიცოცხლის სიღრმეში!.. და ამასთან, წარმოიდგინეთ, ფალკი ის ადამიანია, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ოთხი თუ ხუთი ქალი უყვარს, უყვარს თვითეული მათგანი გატაცებით, გულწრფელად... რა რთული ბუნება, რა საკვირველი ზეკაცობაა!.. დიდ თაყვანს სცემდა საზოგადოება ამ „Homo sapiens“-სა (ბრძენ ადამიანს), როგორც მონათლა იგი ავტორმა პშიბიშევსკიმ. უნდა კი ვსთქვათ, რომ ეს „ზე-კაცი“ და „ბრძენი ადამიანი“ მას შემდეგ, რაც ქალების არშიყობას და ტრფიალს გადაჰყვა, არაფერს აკეთებდა, მისი შემოქმედებითი ნიჭი (მწერალი იყო) თითქოს გაჰქრა. ნერვებ აშლილი—არაყს და კონიაკს ეტანებოდა მუდამ ჟამს.

არა ნაკლების გატაცებით მიეგება საზოგადოება იმავ ავტორის მეორე მოთხრობას, სახელად „De profundis“. ძმას უყვარს თავისი უმცროსი და, უყვარს არა ძმურად. დასაც ებადება გულში ამგვარივე გრძნობა. ერთის სიტყვით, თემა საამდროვოა: სიამოვნება, სიამოვნება და მარტო სიამოვნება. და არის იგი, დედა თუ ბიძაშვილი, მნიშვნელობა არა აქვს, სიამოვნება, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება! თუ ამ სიამოვნებას წინ ეღობება ისტორიული, რელიგიური, საზოგადოებრივი თუ ეთიკური ტრადიციები და მოთხოვნანი, ყოველივე უნდა იქმნას უკუგდებული. ადამიანის დაცალიერებაა საჭირო, მისი გატიტვლება. სამკაული, ტრადიცია, სინდისი, სიკეთე და სხვა ამგვარი ცრუმორწმუნოება, ძველ დროის დამყაყებული ნაშთი, უშლის სიცოცხლის სიღრმე-სიგანით გაფურჩქვნასო. კი, რატომ, შეიძლება, სხვა და სხვა პირობების ზედგავლენით, დაძმასაც შეუყვარდეთ ერთმანეთი. მაგრამ, რას იტყვით იმ შემთხვევაში, როდესაც მწერალს სრულიად არ აინტერესებს ეგ სიყვარული, არამედ მარტოოდენ მრუში, გამოწვეული ორ გარყვნილ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ერთმანეთთან სიახლოვით. მოთხრობა ისე თავდება, რომ მკითხველი ერთ წამსაც არა გრძნობს, რომ აქ სიყვარულზეა ლაპარაკი. ეს რაღაც განზრახული „ონანიზმია“. ქალ-ვაჟის ენა და საუბარი ბინძურია. ძმა გაბრუებული და აღგზნებული სქესობრივის ინსტინქტით, იგონებს წარსულს და აგონებს დასეროტიულ ხასიათის სურათებს. საუბრის დროს, როგორც ჩვეულებად აქვთ პშიპიშევსკის გმირებს, და-ძმა კონიაკსა სვამს და მრუშით და ღვინით დამთვრალი, ზიზღს იწვევს მკითხველის გულში. სანინი გაცილებით მაღლა სდგას ამ „ონანისტებზე“. მართალია, არც ის დაინდობს დას, მარჯვე შემთხვევა რომ შეხვდეს, მაგრამ თავის საქციელს არავითარ ბინძურ სიტყვებით არ მორთავს და არ გაალამაზებს.

ამ თხზულებებს კითხულობდა ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები, რომელნიც ისე ეწაფებოდნენ ამ სიმყრალეს, თითქოს აქ უნდა მოენახათ სიცოცხლის საიდუმლოების ახსნა. მაგრამ ბრალს მათ ვერ დავდებთ. რაც დრომ მოიტანა, ის შეითვისეს და იმითი ასაზრდოვებდნენ თავიანთ სულსა და გულს. დრო კი გარდამავალი იყო. ძველი შეირყა, ახალი ბურუსით მოიცა. და ამ გამოურკვეველ ხანაში გამუდმებული ლაპარაკი და წერა იყო სიყვარულსა და სქესობრივ ურთიერთობაზე. აქ სიბილწე, სიძვა და ჭეშმარიტების ძებნა ერთმანეთში აირია. ვითომ ანტიკურ ცხოვრების და მშვენიერების აღორძინება სწადდათ, ნამდვილად კი სულ სხვა ისახებოდა. ბერძნები ტრაგედიის პლასტიკით ამშვენებდნენ, აპოლონი და დიონისე მათ ცხოვრებაში და ხელოვნებაში განუყრელნი იყვნენ. აქ კი პლასტიკა წაბილწეს, დიონისე, ეს ძლიერი წყარო ირრაციონალიზმისა, ჩამოაქვეითეს „მეშჩანურ“ ხასიათის დონჟუანობამდე. აი თუნდ სოლოგუბის რომანი „Навы чары“ გადაიკითხეთ. აქ მომქმედ პირთ ავტორი შეძლების დაგვარად ტანთ-საცმელს ხდის და ატიტვლებს. ჩვენი ტანი ლამაზია და სამკაული აუშნოვებსო. თხზულებაში გამოყვანილი მასწავლებელი ქალები და მოწაფენი ნახევრად გაშიშვლებულნი დადიან. მისი გმირი ქალი, ამხანაგი ელისავეტა (მოწინავე ქალია) მშვენიერი ახალგაზრდა არსება, მიტინგზე სალაპარაკოთ რომ მიდის, ვაჟის მოკლე შარვლიან „მატროსკას“ იცვამს. და თანაც ჩულქებს არ იკარებს, რათა ყველას დაანახვოს თავისი თეთრი ფეხები. შეიძლება მართლა ვიყვნეთ ცუდათ აღზრდილნი, შეიძლება მართლაც ლამაზი იყოს ადამიანის სხეული, მაგრამ ის ხერხი, ის კილო, ის მანერა, რომელსაც ამ დროის მწერლები ხმარობენ „მშვენიერების“ თაყვანსაცემად, რაღაც უწმინდურია და ანტიესტეტიური. მშვენიერებას, შიშველ ტანს ბერძნებიც სცემდნენ პატივს, მაგრამ ამ ხალხს „ესტეტიური სინიდისი“ დახშული არა ჰქონდათ. აქ კი გრძნობთ, რომ ნერწყვ მორეული, დორბლიანი ბურჟუა-სატირი ხელებს აფათურებს და თითებს აკანკალებს არა მშვენიერების თაყვანსაცემად გამზადებული, არამედ პირუტყულ წყურვილის მოსაკლავად. და რათა ამ წყურვილს მეტი ეშხი და სიმწვავე მიეცეს, ხან მასწავლებელ ქალებს ხდის უბრალო სამკაულს, ხან მიტინგზე მოლაპარაკე ქალს ვაჟურად აცმევს, რათა მეტი სქესობრივი მომხიბვლელობა მისცეს, ხან კიდევ და ძმას უწმაწურ საუბარს გააბმევინებს ხოლმე... რევოლიუციის მეორე დღეს ამითი იკვებებოდა ახალგაზრდობა!..

რუსეთის მწერლობაში გამეფდა პორნოგრაფია. სქესობრივი ალვირაშვებულობა თითქოს აუცილებელ პირობად ხდებოდა პიროვნების ვითომდა განთავისუფლებისათვის. მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად იშვა სპეციალური ხასიათის ფილოსოფია, რომელშიაც რელიგიურ და პატივსადებ მოტივებთან ერთად იმავ ბილწ ნაკადულს მოჰპახავთ. გაჩნდნენ მქადაგებელნი „თავხედ სიყვარულისა (о любви дерзающей) „სამსხვერპლო სიყვარულისა“ (о жертвенной любви) (Факелы). ბიზანტიურ საეკლესიო ტერმინოლოგიით იწყეს ლაპარაკი არშიყზე და ტრფიალებაზე. „წმების მყლაპველი“ გმირები (пожиратели миговъ) ულვაშებს იგრეხდნენ ნახევრად გატიტვლებულ ნორჩ ქალების წინაშე. „ხორცის“ გამარჯვების მეჯლისი დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას. და ვნების და მრუშის ტლაპოში ჩაეფლნენ თვით „ფილოსოფოსნიც“. საქმე იმაშია, ამბობდნენ, რომ ადამიანში დაიხშოს და დაიკარგოს დროის და სივრცის შეგნება. საჭიროა მომენტის გამონახვა, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი თითქოს ერთმეორეში იშლებიან და იკარგებიან. ამგვარი მომენტი ექსტაზია, სიყვარულის ალი, ღვთაებრივი ეროსი, სქესობრივი ურთიერთობა ერთი ამ მოვლენათაგანია. აქ ადამიანი ტრანსცენდენტალურ სამეფოში გადადის და უკვდავი ხდება (როზანოვი). გაუმარჯოს უკვდავ წამს, გაუმარჯოს გატიტვლებულ ადამიანს და მის აღმაფრენას უკვდავებისადმი!

თავი და თავი საქმე, განაგრძნობდნენ ფილოსოფოსები, ადამიანის პიროვნების სიკვდილისაგან განთავისუფლებაა. პიროვნების მხსნელი—ეროსი და სიყვარულია. სიყვარულის მეტაფიზიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანსა და უნივერსალურ არსის შუა კავშირს ჰკვანძავს. სიყვარული საზღვარ-დადებულ ინდივიდუალობას შლის და აერთებს მას უკვდავ ძალასთან. პიროვნება იზრდება და ხდება უნივერსალური. აბსოლუტი არის სინტეზი პიროვნებათა შეერთებისა (Соборность). და სიყვარული გზა არის ამ სინტეზისაკენ. მაგრამ არის ბევრი დაბრკოლება, რომელიც გზას უკრავს ადამიანის მისწრაფებას უნივერსალურ სიცოცხლისადმი. სქესობრივი ურთიერთობა ჰქმნის ჩამონასახს, ემბრიონს, რომლისაგანაც იზრდება ადამიანი. სქესობრივი ურთი-ერთობა ჰქმნის ოჯახს, გვარს. ოჯახი და გვარი კი პიროვნებას ზღუდავს, ჰკლავს მასში უკვდავების სურვილს, ჰბაწრავს და მიწასთან ამაგრებს. და დედა-მიწაზე ყოფნა კი ყოფნაა აუცილებლობის სამეფოში. აუცილებლობა უარჰყოფს თავისუფლებას. აუცილებლობა არის დროსა და სივრცეში მომწყვდეული სიცოცხლე. თავისუფლება მის გადაღმაა. სადაც აუცილებლობა, დრო და სივრცეა, იქ სიკვდილია. თავისუფლების სამეფოში კი უკვდავებაა. მაშ ოჯახი და გვარი ნამდვილი შემბორკველია ადამიანისა, რადგან ოჯახის და გვარის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ დროს და სივრცეში, ე. ი. აუცილებლობის სამეფოში. ძირს აუცილებლობა, ძირს ოჯახი და გვარი!.. მაგრამ ოჯახი და გვარი რომ სქესობრივ ურთი-ერთობის ნაყოფია? რა ვუყოთ, საქმე პიროვნების გადარჩენაა. აქ იწყება ყაყანი. და ერთნი, სინიდისიერნი, ასხამდნენ: რაკი მაგრეა, სქესობრივი ურთი-ერთობა „ლორობაა“ (ვეინინგერი). მასზე ხელი უნდა აიღოს ადამიანმა. ამოაგდოს კვალი მატერიალურ სიცოცხლისა და დაიწყოს სიცოცხლე მისტიური. მეორენი, ვნებათა ეშხით დამთვრალნი მისტიკოსები და უცნაური „ღვთის მაძიებელნი“ არა დრკებიან. მათ ეროსი მიწიერად სწამთ, მათ „ხორცი“ უყვართ „ხორცში არიან ჩაფლულნი, ზეცას კი სწვდებიან. სამოთხეც უყვართ, ტრფიალებასაც ემბორებიან (ბერდიაევი) გადაჭრით არ ამბობენ, რა ნაირად შესაძლებელია, რომ სქესობრივი ურთი-ერთობაც დაიცვა და, მაშასადამე, ოჯახი და გვარიც, როგორც მისი ნაყოფი, და ამავე დროს წინააღმდეგი იყო ოჯახისა და გვარისა, რომელიც დაბრკოლებაა ადამიანის მისწრაფებისა უკვდავებისადმი. „ემბრიონის“, ჩამონასახის პრობლემა ჰაერში დაკიდული რჩება. მაგრამ რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ამ ფილოსოფიის სტრიქონებს შუა გამოსჭვრეტს ის აზრი, რომ აქ ბებია-ქალების დახმარებაა უებარი. ეს დახმარება ახდენს სასწაულს. გვარსაც სპობს, სამოთხესაც ანიჭებს ადამიანს..,

ამ ხასიათისაა უცნაური აზრთა აკიდო თანამედროვე „ტკბილეულობის“ მოყვარე მისტიკოსებისა. სიცოცხლე, სიყვარული, უკვდავება! სიცოცხლის თაყვანის-მცემელნი სიცოცხლის უარ-ყოფამდე მივიდნენ, რადგან გვარის უარ-ყოფა არის იმ მატერიალურ ქერქის უარ-ყოფა, რომელშიაც ისახება სიცოცხლე დედამიწაზე. ამასთან, ერთის მხრივ, მიწიერი სიცოცხლე ჩალის ფასად გააიაფეს, მეორეს მხრივ კი, დაებლაუქნენ „ხორცის“ ტრფიალებას, ეროსს, რომელიც გზას უჩვენებს ადამიანს სამოთხისაკენ. და ამ წინააღმდეგობაში გაბმული ადამიანი თავის მისტიურ აღმაფრენას ბინძურ შინაარსით ავსებს და რაღაც სასწაულის მანქანებით „მრუშს“ და „ღმერთს“ ერთ საკურთხეველს უდგავს და ერთის ლოცვით ემბორება და ეთაყვანება.

სწორედ ამ ატმოსფერაში წარმოიშვა საყურადღებო მიმდინარეობა თანამედროვე ცხოვრებისა—საზოგადოებრიკობის უარ-ყოფა და საზოგადოებრივობის წინააღმდეგ იერიშის მიტანა იმავ აბსოლუტის და უნივერსალურ არსის ლოცვა-კურთხევის შემწეობით. ამის შესახებ შემდეგ.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

## იტოს მოკვლა

**ხარბინი.** დილის 9 საათზე ხარბინის სადგურზე მოვიდნენ ფინანსთა მინისტრი და იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე თავადი იტო. ვაგონიდან გამოსვლისას თავადმა იტომ და ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა, რომელთაც ახლდნენ რუსის მოხელენი, ჩაუარეს საპატიო დარაჯთა რაზმს და შემდეგ გაემართნენ კონსულებისა და სამოქალაქო პირებისაკენ. მიუახლოვდნენ თუ არა კონსულებს, უცებ უცნობმა რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა. დაიჭრა სასიკვდილოდ თავადი იტო, მძიმედ—იაპონიის ხარბინელი საგენერალო კონსული კავაკამი, მსუბუქად—სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზების უფროსი ტანაკა და სასახლის იმპერატორის მინისტრის პირადი მდივანი მორი, დააპატიმრეს მკვლელი. იგი აღმოჩნდა კორეელი. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან განაცხადა, ხარბინში განსაკუთრებით მიტომ ჩამოვედი, რომ იტო მომეკლა. ყველაფერი ეს ჩემი სამშობლოს გულისთვის ჩავიდინე. ამას გარდა მითხრეს, რომ კორეიაში ყოფნის დროს იტომ ბრძანება გასცა და რამდენიმე შენი ახლო მეგობარი და ნაცნობი ჩამოახრჩობინაო. ყველაფრიდან სჩანს, რომ შეთქმულება კარგად მოუწყვიათ. სადგურ ცეიცზიაგიუზე რუსეთის პოლიციამ სამი საეჭვო კორეელი დააპატიმრა, მათ რევოლვერები აღმოაჩნდათ. მკვლელობის ასაცდენ წინასწარ ზომების მიღება შეუძლებელი იყო, რადგან საგენერალო კონსულმა კავაკამიმ ბრძანება გასცა, სადგურზე ყველა იაპონელს შეუძლიან მოსვლა და ხელს ნუ შეუშლითო. მკვლელი კორეელი იაპონელისაგან არ განირჩევა. რუსებსაც ისეთი ხიფათი მოელოდათ, როგორც იაპონელებს. ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი, რომელიც იტოს გვერდით იდგა გადარჩა. იტოს გვამს იაპონიაში წაასვენებენ.

**ხარბინი.** იტოს სამი ტყვია მოხვდა და ოცი წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დილის 11 საათზე და 40 წუთზე იტო რკინის გზით სამხრეთისაკენ წაასვენეს. კუანჩენზემდის იტოს გვამს მიაცილებდნენ რუსეთის მოსაზღვრე ჯარის აფიცრები, რუსეთის ელჩი კოროსტოვცევი, რკინის გზის უფროსი და სხვები. ფინანსის მინისტრმა კოკოვცევმა ინახულა დაჭრილი კონსული კავაკამი. სამი კორეელი, რომლებიც სადგურ ცზეიცზიაგოუზე დააპატიმრეს, გამოტყდნენ, იტოს მოსაკლავად ჩამოვედითო.

**ხარბინი.** სამი კორეელი სადგურ ცზეიცზიაგოუზე იმ წამსვე დააპატიმრეს, რა წამსაც დეპეშა მოვიდა იტოს მოკვლის შესახებ. ცზეიცზიაგოუ პატარა სადგურია და ამიტომ ჟანდარმმა ყურადღება მიაქცია სამ საეჭვო კორეელს. დეპეშის მოსვლისათანავე დააპატიმრეს ორი კორეელი, მესამე აღარ იყო სადგურზე. დაპატიმრებულებმა განაცხადეს იტოს მოსაკლავად ჩამოვედითო. მესამე კორეელი ხარბინში დააპატიმრეს. ხარბინში დაპატიმრებულებმა უარი განაცხადეს, ჩვენ არ მოგვიკლავს იტოო. ჟანდარმების აზრით ესენი უნდა იყვნენ მკვლელები, რადგან მათ ისეთივე რევოლვერები აქვთ, როგორც იტოს მკვლელს.

## სპარსეთი

**თავრიზი.** ხოიდან არდებილის გამოსახსნელად სამასი ფიდაით გაემგზავრა საიდულ-მემალიკი.

## საზღვარ-გარედ.

**ბელგრადი.** 12 ოქტომბერს ახალ სამინისტროს მინისტრ-პრეზიდენტმა პაშიჩმა სკუპშჩინაში წაიკითხა სამინისტროს დეკლარაცია. პაშიჩმა განაცხადა, ახალი სამინისტრო ისეთსავე საგარეო და შინაურ პოლიტიკას აწარმოებს, როგორც ნოვაკოვიჩის გადამდგარი სამინისტროო.

**პარიზი.** ქალაქის საბჭომ განიხილა ქალაქის გამგეობის წინადადება, პარიზის ერთ-ერთ ქუჩას ფერერის სახელი უწოდოთ და მისი შვილიშვილები ვიშვილოთო. სენის პრეფექტი წინ აღუდგა ამ წინადადებას, გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონის განცხადება სახეში უნდა ვიქონიოთო. გამგეობის წინადადება საბჭომ უარ-ჰყო (40 ხმით წინააღმდეგ 34 ხმისა). საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, საბჭოს ყველა წევრები თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობასო.

**ათინა.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, გათავდება თუ არა პარლამენტის სესსია, სამხედრო კავშირსაც დაშლიანო.

## რუსეთი

**ასტრახანი.** ეს სამი დღეა ზღვა საშინლად ღელავს. გემების ზღვაზე სიარული საშიშოა. დაიღუპა ბევრი ნავი.

**მორშანსკი.** გადაიწვა 30 სახლი. დაშავდა ერთი კაცი.

**ვილნო.** დასავლეთ რუსეთში მცხოვრებმა ლიტველ თათრების თავად-აზნაურებმა შუამდგომლობა აღძრეს მომავალ ერობაში არჩევნების დროს რუსებად ჩაგვთვალეთო.

**რიგა.** ვეროვსკის მაზრაში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების ქარხანა. დააპატიმრეს 4 კაცი.

**ნიკოლაევსკი.** 12 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ხუნხუზები თავს დაეცნენ იაპონელის საათის მაღაზიას. მოკლულია ორი იაპონელი და ერთიც პატარა ქალიშვილი. მძიმედ დაჭრილია იაპონელი ქალი. ხუნხუზები მიიმალნენ.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს ყველა ისინი, რომლებიც შეერთებულ ბანკის გაცარცვას შეეცადნენ.

**პეტერბურგი.** სათათბიროს პრეზიდიუმს და ფრაქციების წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ. კრებამ დაადგინა, სახელმწიფო სათათბირომ უწინარეს ყოვლისა განიხილოს შემდეგი კანონ-პროექტები: პირობით გასამართლებისა, სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის გამო მოხელეების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა, განსაკუთრებულ წესებისა და ადგილობრივ სასამართლოების რეფორმის შესახებ. ამას გარდა სათათბირო მოისმენს: დუმბაძის უკანონო მოქმედებათა, ურალის სამთო ქარხნებისა და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის შესახებ შეკითხვებს. ყველა ეს კანონ-პროექტები და შეკითხვები სათათბირომ საშობაო კანიკულებამდე უნდა განიხილოს.

**ჩერნიგოვი.** სოფელ ვისოკოიში ცოფიანმა კატამ უკბინა 31 გლეხს.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკის ბრძანებით 1000 მანეთით დააჯარიმეს ჟურნალ „ფინლიანდიის“ რედაქტორი ინგელსტრომი. ჟურნალში დაიბეჭდა წერილები „რაში გამოიხატება რუსეთის ღირსება“ და „პრესსის მიმოხილვა“.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 29, გარდაიცვალა 7, ავად არის 240 კაცი.

## ხოლერა

**ჩერნიგოვი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 2 კაცი. ოსტრაში ავად გახდა 1, სმოლინში 23 კაცი.

# თათბირი ერობის შესახებ

13 ოქტომბერს დასრულდა საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ. სხდომა დაიწყო საღამოს 7 ნახევარ საათზე.

**თავ. დავით გურამიშვილი.** თათბირის დროს ორი უმთავრესი საკითხი—ერობის სართულების და საარჩევნო ცენზის შესახებ—ისე არ გადაწყდა, როგორც ერთს ჯგუფს, უმცირესობას, საუმჯობესოდ მიაჩნდა. ეს ჯგუფი სხვა და სხვა საბუთის მიხედვით იცავდა ორ-სართულიან ერობას. ნება მიეცეს ამ ჯგუფს აღნიშნულ საკითხების შესახებ თავისი კერძო აზრი ცალკე მოხსენებაში გამოხატოს და ეს მოხსენება შეუერთდეს კრების გადაწყვეტილებებს.

**გუბერნატორი.** სიამოვნებით მოგცემთ მაგის ნებას. თქვენ მოხსენებას ყურადღებით განვიხილავ და კრების გადაწყვეტილებებთან ერთად წარვუდგენ ნამესტნიკს.

**ალ. ი. ხატისოვი.** მეც ნება მომეცით, ბ-ნო თავმჯდომარევ, ქალაქების წარმომადგენელთა სახელით წარმოვადგინო მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისი უსათუოდ გამოეყოს ტფილისის მაზრას და დარჩეს მხოლოდ საგუბერნიო ერობაში.

გუბერნატორმა ბ-ნ ხატისოვის წინადადებაზედაც თანხმობა განაცხადა.

**გ. ბ. გვაზავამ** წაიკითხა მოხსენება ზედამხედველობის შესახებ (ადმინისტრაციის მხრით) საერობო საქმეში. ზედამხედველობა უნდა მოეწყოს 1864 წლის საერობო დებულების თანახმად. როგორც სხდომების დროს გამოითქვა, საერობო დაწესებულება თავის შინაარსით სახელმწიფო უფლების ადგილობრივი ორგანიზაციაა. რა თქმა უნდა, როდესაც მთავრობა უთმობს ხალხს ნაწილს თავისუფლებისას, უსათუოდ იგი ძლიერ ზედამხედველობის დაწესებას მოისურვებს. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადნეთ, ეს ზედამხედველობა ისე მოეწყოს, რომ არ შეხუთოს და არ ჩაჰკლას ერობის თვით-მოქმედება. საჭიროა დებულებაში ნათლად იყოს აღნიშნული, თუ რა მხრით და რა საბუთით შეუძლიან ადმინისტრაცია ჩაერიოს თვით-მმართველობის საქმეში. თუ მთავრობამ 1890 წ. დებულებით იხელმძღვანელა თვით-მმართველობის საქმეში შეიხუთება მოქმედება

და ინიციატივა ერობისა. 1890 წლის დებულება პირად „უსმოტრენიეზეა“ აგებული. ჩვენ, 1864 წლის დებულების თანახმად, უნდა ვითხოვოთ, რომ მთავრობამ მაშინ სცნოს საჭიროდ ერობათა წინააღმდეგ მოქმედება, თუ იგი საერთო კანონების წინააღმდეგ გადასდგამს ნაბიჯს. 1864 წლის დებულებით საერობო გამგეობა კრების დადგენილებას სამის დღის განმავლობაში აცნობებს გუბერნატორს. თუ დადგენილება გუბერნატორის შეხედულებით კანონის წინააღმდეგია, იგი ამის შესახებ თავის აზრს აცნობებს ერობას და მოსთხოვს საქმის ხელახლა გარჩევას. თუ ერობამ მეორედაც მიიღო პირველი დადგენილება, მაშინ გუბერნატორი საქმეს თავის პასუხისმგებლობით შეაჩერებს და განსახილველად წარუდგენს დეპარტამენტს. ბ-ნი გვაზავა ამასთან თხოულობდა, სრულებით გაუქმდეს საგუბერნიო საერობო საკრებულო და გუბერნატორს ნება მიეცეს ერობის შესახებ კანონით იმოქმედოს. მომხსენებელმა მოითხოვა აგრეთვე, რომ ერობები თავისუფალნი იყვნენ მოხელემოსამსახურეთა დანიშვნისა და დამტკიცების საქმეში.

**გ. მ. თუმანოვმა** მხარი დაუჭირა მომხსენებელს.

**ივ. ს. ჯაბადარმა** შეავსო მოხსენება იმ წინადადებით, რომ სასოფლო ერობებს ადმინისტრაციისაგან ნების გამოუთხოვნელად უფლება ჰქონდეთ კრებების მოხდენისა ამა თუ იმ საზოგადო საქმის განსახილველად.

კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენება და ივ. ს. ჯაბადარის დამატება.

**თავ. ი. აბხაზმა.** მოხსენება წარუდგინა კრებას ეხლანდელ სამაზრო ადმინისტრატიულ ერთეულების გადაკეთების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთის მხრით მცხოვრებთა რიცხვზეა დამოკიდებული შემოსავალი ერობისა. ამიტომ საჭიროა ის მაზრები, რომელნიც უფრო სუსტნი არიან, გავაძლიეროთ. უფრო სუსტი ერობები მოსალოდნელია ახალ ციხესა, ახალქალაქსა, დუშეთსა და თიანეთის მაზრებში. სუსტი იქნება ტფილისის მაზრაც. თიანეთის მაზრის ერთი ნაწილი უნდა შეუერთდეს თელავის მაზრას, ხოლო მეორე ნაწილი—დუშეთისას. გორის მაზრა უნდა გაიყოს ორ ნაწილად—სურამისა და გორის მაზრად. სურამის მაზრაში უნდა შევიდეს აწყურის საბოქაულო და ბორჯომის ხეობა. ტფილისის მაზრას ბორჩალოს მაზრიდან უნდა მიემატოს წალკა, რომელიც სამაზრო ცენტრს ძალიან დაშორებულია და უფრო ეახლოვება ტფილისის. ასეთის დანაწილებით დუშეთის მაზრაში იქნება 76,000 მცხოვრები, თელავის მაზრაში—67,000, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში—90,000, სურამის მაზრაში—81,000, გორის მაზრაში—106,000 და ტფილისის მაზრაში—100,000. იქნება სულ რვა სამაზრო ერობა. თუ ზაქათალის ოლქსაც საგუბერნიო ერობაში შევიტანთ, მაშინ 9 ერობა იქნება.

თავ. აბხაზის მოხსენება ნაადრევად ჩასთვალეს ა. ქალანთარმა, გ. გვაზავამ, ა. ხატისოვმა და სხვებმა.

კრებამ ამ საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „წინადადება მაზრების ახლად დანაწილების შესახებ, რომელიც სრულის ყურადღების ღირსია, სასურველია არ დაუკავშირდეს ერობათა შემოღების საკითხს“.

ზაქათლელებმა **გამზად ბეკ ქაბულოვმა** და **ყარდაშევმა** მოითხოვეს ზაქათალის ოლქის ცალკე საერობო ერთეულად დატოვება. კრებამ ეს საკითხი გადაუწყვეტელი დასტოვა და ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგან კრებას არ მოუსმენია ზაქათალის ნამდვილ წარმომადგენელთა დასაბუთებული მოხსენება ზაქათალის ცალკე ერთეულად დატოვების შესახებ, ამიტომ კრებას ეძნელება ამ საკითხზე მსჯელობა იქონიოს.

ღამის $10^{1}/_{2}$ საათი იყო რომ თავმჯდომარემ კრება დასრულებულად გამოაცხადა.

თავ. პ. ი. თუმანიშვილმა და ალ. ხატისოვმა სიტყვებით მიმართეს თავმჯდომარეს და მადლობა გადაუხადეს. მადლობა გადაუხადა თავის მხრივ გუბერნატორმაც დამსწრეთ.

# ქართული ენა გიმნაზიაში

თუ ჩვენ ქართველები არ დავაფასებთ ქართულ ენას, არ შევიყვარებთ და არ ვეცდებით, რომ მაგარი ფესვები გაუდგათ, სხვა ვინ რად ჩააგდებს ჩვენ ენას? თავს არავინ აიტკივებს, ამიტომ ისევ ჩვენვე უნდა ვზრუნავდეთ ჩვენსავე მშობლიურ, შეხორცებულ, შეტკბობილ ენაზე. საუბედუროდ, ასე არა ხდება. ბევრი დაწერილა და ბევრიც კიდევ (როგორც ეტყობა) დაიწერება, ვიდრე მიზანს მივაღწევდეთ.

ყველა პედაგოგმა, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად ეინტერესება თავისი პროფესია, იცის, რომ ის სასწავლებელი, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზეა, უფრო ბევრ ნაყოფს იძლევა, ვიდრე ის, სადაც პატარა ბალღს ტვინს ულაყებენ უცხო ენებით. ეს ჭეშმარიტება ათასჯერ თქმულა და განმეორებულა. ჩვენი პედაგოგები რატომ არ უწყობენ ხელს, რომ სამშობლო ენამ ფეხი მოიკიდოს სასწავლებელში? რასაკვირველია, არიან სულით და გულით მოსურნენი ქართული ენის განმტკიცებისა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც წამ-და-უწუმ გაიძახიან: „ქართულს მაინც ისწავლიან და რუსულს მოვკიდოთ ხელიო“. თუ მთავრობის გიმნაზიებშიაც კი იგრძნეს ეს ნაკლი და მეოთხე კლასამდის მაინც ასწავლიან ქართულ ენას, რატომ იქ არ უნდა ასწავლიდნენ, სადაც ყველა ქართველია, სადაც მოწაფენი ქართველების შვილები არიან, მასწავლებელნიც მათივე ძმები, მამები, ბიძები?

მე მხედველობაში მყავს ქუთაისის კერძო გიმნაზია, ეგრედ წოდებული „მკურნალის“ გიმნაზია. სულ ორი წელიწადია, რაც გიმნაზია დაარსდა და ბევრი მოწაფეც მიაწყდა. წელს უკვე მეშვიდე კლასიც გახსნეს. მოწაფეების დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. მასწავლებელნიც თითქმის ყველანი ქართველები არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართული, სამშობლო ენა პირველ კლასს ზევით არ ადის და აქაც უგულოდ ეკიდებიან საქმეს. თუ მთავრობის გიმნაზიაში მეოთხე კლასამდის მაინც ადის ქართულის სწავლა, რატომ აქ მეშვიდეშიაც არ უნდა ასწავლიდნენ?

უნდა ასწავლიდნენ, მაგრამ არ ასწავლიან... მე მგონია, ეს დიდი სასირცხვილო უნდა იყოს ამ კერძო გიმნაზიის მართველისათვის. არ ვიცი, იქნებ უნდათ ამით მართველობის თვალში პატივი დაიმსახურონ?!

**სიმ. წერეთელი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **რუსების გადმოსახლება.** მთავრობის ოფიციალური გაზეთი „როსსია“ სწერს: ამ ჟამად კავკასიაში ნიადაგს ამზადებენ რუსების დასასახლებლად. ამიერ-კავკასიაში ხაზინისა ორი მილიონი დესეტინა თავისუფალი მიწაა. თითო სულს უზომავენ 3—10 დესეტინას. განზრახვა აქვთ რამდენიმე ასი ათასი რუსი გადმოასახლონ ამიერ-კავკასიაში. ამ ჟამად მხოლოდ 125 ათასი სული რუსი ყოფილა ამიერ-კავკასიის სოფლებში. ეს რიცხვი მცირედ მიაჩნია მთავრობას. გადმოსახლებულთ სახლების ასაშენებლად მიეცემათ სესხი. 1910 წელს ორი ათას კომლს მიეცემა სესხი, თითო კომლს 125 მანეთი. გადმოსახლებულთაგან ყველას არ ესაჭიროება ფული სახლების ასაგებად. ნახევარს თითონვე აქვს შეძლება სახლები აავოს და მეურნეობაც მოაწყოს.

✦ **უარი ერობაზე.** რუსულ გაზეთების სიტყვით ყარსის საოლქო კრებას ნაადრევად უცვნია ყარსის ოლქში ერობის შემოღება. საინტერესოა, ვინ იღებდა მონაწილეობას საოლქო კრებაში ან რა მოსაზრებით სცნო ერობა ნაადრევად ამ კრებამ.

✦ **ქართველების გაცნობა.** უკრაინის (მოლოროსია) სახალხო წიგნების გამომცემელ საზოგადოებას „ჩას“-ს გადაუწყვეტია უკრაინელებს გააცნოს ქართველთა ცხოვრება, ისტორია, მწერლობა და სხვა. ამიტომ აღნიშნულ საზოგადოების გამგენი სთხოვენ წ.-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას, დახმარება გაუწიოს საჭირო წიგნების გამორჩევასა და გადათარგმნაში. საზოგადოებას განუზრახავს იაფ-ფასიან წიგნაკების გამოცემა. მთარგმნელებს თითო თუმანი მიეცემათ თითო დაბეჭდილ ფურცლის გადათარგმნაში.

✦ **მამასახლისების არჩევის ნება-რთვა.** ზუგდიდის მაზრის ჩაქვინჰის და კულის-ყარის საზოგადოებებში, როგორც ბევრგან სხვაგან, მთავრობის მამასახლისები იყვნენ. ეხლა კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს ამ საზოგადოებებისთვის, აირჩიონ თავიანთი მამასახლისები.

✦ **ნაძალადევის სამკითხველოს** სასარგებლოდ ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, კვირას, 18 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ა. ი. მალხაზიანი წაიკითხავს ლექციას გ. დ. ანუნციოსა და კ. ტეტმაიერის შესახებ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ქართული დასი დღეს თამაშობს მამა დავითის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სარდუს მხიარულ კომედიას „აი გიდი, მეგობრებო“. წარმოდგენის გამგე არის კნ. ელ. ირ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ **აბონემენტი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მიმდინარე სეზონში გამართოს 20-მდე სააბონემენტო წარმოდგენა. სააბონემენტო წარმოდგენები ხუთშაბათობით გაიმართება. ვინც აბონემენტს შეიძენს, ბილეთის ფასს 25%-ს დააკლებენ. პირველი სააბონემენტო წარმოდგენა გაიმართება 22 ოქტომბერს.

✦ **ნივთები მუზეუმისთვის.** მუზეუმისათვის წერა-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ქუთაისის განყოფილების გამგეობისაგან სვანეთში შეკრებილი ნივთები: 7 სიმიანი ჩანგი, ჭიანური, თხილამური და სხვა, სულ 8 ნივთამდე.

✦ **ნავთის მრეწველთა კრება.** მთავრობამ ნება დართო, 30 ნოემბერს გაიმართოს ბაქოს ნავთის-მრეწველთა კრება.

✦ **ტრამვაის მოსამსახურეთა თხოვნა.** ტფ. ტრამვაის მოსამსახურეებმა საერთო თხოვნა მიართვეს ნამესტნიკს. სთხოვენ საზღვარი დაედვას ტრამვაის ეხლანდელ დირექტორის მოთხოვნილებას.

✦ **მიხეილ კიკნაძის გარდაცვალების გამო.** ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „გულწრფელად შეგვაწუხა მიხეილ კიკნაძის უდროოდ დაკარგვამ. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში, ამხანაგების მოწდობილებით ბაქრაძე“.

✦ **ილიას საღამო.** ქართველ ქალთა წრის მეთაურობით 27 ოქტომბერს ქართულ თეატრში გაიმართება ჩვეულებრივი ილიას საღამო ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: არტისტი ქალი საზაზინო თეატრისა ქ-ნი შულგინისა (ბახუტაშვილის ასული), ბ-ნ სარაჯიშვილი და სხვანი. ბ-ნი გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას. 29 დეკემბერს ქალთა წრე საღამოს გამართავს „განათლების“ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 12 ოქტომბერს ქ. ბათუმში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსიამ გაარჩია საქმე ალფეზ კვაჭაძისა და ერასტო და სოლომონ ურუშაძეებისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ს.-დ. პარტიის წევრობა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. პალატამ დამნაშავედ იცნო ალფეზ კვაჭაძე და მიუსაჯა სამუდამოდ გადასახლება რუსეთის შორეულ ადგილში. ურუშაძეები გაამართლა.

✦ **თავ. ხიმშიაშვილის მოკვლის შესახებ.** თავ. ხიმშიაშვილის მოკვლის შესახებ რუსული გაზეთები სწერენ: თავად ხიმშიაშვილთან ტფილისიდან ჩავიდა ივანე ჟუჟიევი და გრიგორ გიგუხოვი. ამათთან ერთად ხიმშიაშვილი მარნის მახლობლად ქოხში იჯდა. იქვე იჯდა მისი მოურავი სოფელ არატანის მცხოვრები ვასილ ოზიაშვილი. უცბად გაჩნდა 6 ბოროტგანზრახველი, ორი ქოხისკენ გაეშურა და ქოხში შესვლისთანავე რევოლვერებით მოჰკლა ხიმშიაშვილი. უცნობებმა გარდაცვლილ ხიმშიაშვილს რამდენჯერმე კიდევ დაახალეს რევოლვერი. ბოროტგანზრახველებმა ქოხში მყოფთ უბრძანეს, არ დაიძრათ ადგილიდანაო, და ხიმშიაშვილის ძარცვას შეუდგნენ. გაჩხრეკის დროს, სხვათა შორის, ამბობდნენ: „შენი გულისთვის, ძაღლივით, სამი დღე მშივრები ვართ. ეს სამი დღეა გყარაულობთ. ფშავლიშვილი რომ დაღუპე, რა გეგონა, შურს ვერ ვიძიებდით“. ერთმა ვენახში მომუშავეებს უთხრა: „თქვენ კი არ იფიქროთ, რომ ჩვენ აქაურები ვიყვნეთ; ჩვენ ტფილისიდან მოვედით. თქვენ ნუ გეშინიანთ, ხელსაც არ გახლებთ, ჩვენ მარტო ამის მოსაკლავად მოვედითო. ბოროტგანზრახველებმა ხიმშიაშვილს აჰყარეს ხანჯალი, რევოლვერი, ამოაცალეს ქისა ფულით, წაიღეს ქოხიდან ბერდანის თოფი, ნაბადი, ქუდი და ქამარი. შემდეგ გაჩხრიკეს ჟუჟიევი, ამოაცალეს ქისა 5 მ. 40 კაპეიკით, მაგრამ მალე ორი აბაზი და ქისა დაუბრუნეს, ხოლო ხუთი მანეთი წაიღეს. წასვლის წინ ბოროტგანზრახველებმა ხიმშიაშვილი ფეხებით ცეცხლში ჩააგდეს. როცა ამაებს მორჩნენ, სიმღერით სოფელ ზეგნაკორისკენ წავიდნენ. ხიმშიაშვილის მოკვლა ადმინისტრაციას შეატყობინეს, დაედევნენ მკვლელებს, მაგრამ ველარ მიეწივნენ. როგორც ამ ცნობიდან სჩანს, მკვლელები ამხანაგები ყოფილან ფშავლიშვილისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ერთ მკვლელთაგანი იყო. აშკარაა, ამ ნაძირალებმა შური იძიეს თავ. ხიმშიაშვილზე, რომელზედაც ხმა დადიოდა, რომ ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის მკვლელთა აღმოჩენასაო.

# მოწერილი ამბები

**ხონის რაიონი.** „ჯერ არ მოგვსწრებივართ ისეთ დამწვარ წელიწადს, როგორიც წლევანდელი“, გესმის ხალხისაგან ყოველ მხრიდან. ყველა სწყევლის და კრულავს წლევანდელ წელს ჭირნახულის გამანადგურებელ გვალვებისა გამო. მართლაც საშინელმა გვალვებმა მოსავალს მეტის-მეტად ავნო. ყურძენი ისე მოწვა, რომ მესამედიც კი არ მოსულა იმისა, რაც წინად მოდიოდა. ხეხილი კი ზოგი ყვავილში დაწვა უამინდობამ და ზოგიც საშინლად დაკნინდა. ბოსტანსაც კი მოხვდა გვალვების სუსხი და მწვანეულობა სანახევროდ ამოწვა. სიმინდიც განახევრდა. კიდევ კარგი სიმინდი ცოტად მორწყვამ გამოაკეთა. იმ სიმინდმა, რომელიც სისტემატიურად ირწყვებოდა, გვარიანი მოსავალი მისცა პატრონს, მაგრამ ისეთი კი მაინც არა, როგორიც წინა წლებში იყო. ის ყანა კი, რომელიც სრულებითაც არ მორწყულა ან და უდროო დროს მორწყეს, გაფუჭდა. წლით კი უმთავრესად სარგებლობდნენ მდიდრები, რომელნიც ხან ძალით და ხანაც ქრთამით იძენდნენ წყალს. წეს-რიგი წყლის საქმეებში წელს ფეხ-ქვეშ გათელეს.

საზოგადოდ ხონის რაიონის სოფლებში მოსავალი ზოგან ცუდი და ზოგან ზომიერი იყო. ზოგან ხუთი თვის სამყოფი მოუვიდათ, ზოგან—რვა თვისა და ზოგანაც—ცოტა მეტი. მთელ რაიონში შედარებით ყველაზე კარგი მოსავალი თვით ხონში იყო.

წარსულ წლების მოუსავლობას გლეხკაცობამ, როგორც იყო, გაუძლო, მაგრამ წლევანდელ წლის მოუსავლობის ატანა კი გაუძნელდება. წინად მოსავალი იმდენი მოდიოდა, რომ გასასყიდიც ბევრი იყო, ეხლა პირიქით უხდებათ ყიდვა ოჯახის გამოსაკვებად. წინად ყიდდნენ ხილეულობას, ბოსტნეულობას. ეხლა გვალვებმა ყოველივე ეს მოსწვა და თვითონაც ენატრება ხილი. წინად ოჯახიდან ერთი ან ორი კაცი ბათუმ-ჩიათურაში იყო წასული სამუშაოდ, ეხლა ყველა სახლში ზის. ასეთია ჩვენი რაიონის ეხლანდელი ვითარება.

როგორც წინად გწერდი, მათხოჯში გაძარცვეს საზოგადო დუქანი. გაიტანეს მრავალი საქონელი, მაგრამ ადმინისტრაციამ ჩხრეკის შემდეგ აღმოაჩინა საქონელი იქვე ტყეში.

ამას წინად მოვიდა აქ სეტყვა. სეტყვა თხილზე მსხვილი იყო. მნახველნი ამბობდნენ, ასეთ სეტყვას ჯერ არ მოვსწრებივართო. სეტყვამ ზოგან ფანჯრებში შუშები ჩაამტვრია.

ხონიდან თითქმის ყველა სასწავლებლის მოწაფენი წავიდნენ ქუთაისს სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად.

**გ. ფაცკუნჯი.**

---

**ს. ბოდბისხევი** (ქიზიყი). არა ეშველარა ბოდბისხევის საზოგადოებას: ვერ მოისპო ქურდობა. რაც ხანი გადის, უფრო მრავლდება ცარცვა-გლეჯა და ქურდობა. ენკენისთვეში დაიპარეს კამეჩები, ძროხები, ხარები და სხვა ტატიკო ცაბუტაშვილისა, ხელაშვილისა, ზაქარიანთ სოფიოსი და სხვა. ბევრის ძებნის და ფულის ხარჯვის შემდეგ პატრონები ცარიელები დაბრუნდნენ. ასში ერთმა თუ იპოვნა დაკარგული საქონელი.

თვით ხალხი დაეცა. ხალხის დასახასიათებლად ერთ მაგალითს მოვიყვან. ერთმა გლეხმა გასასყიდად ამოატარა რამდენიმე ცხვარი. როდესაც ბოდბისხევის დუქნებში მოიყვანა, აქ შეაყენეს მედუქნეებმა და დაუწყეს ცხვრის ვაჭრობა. ყველამ რამდენიმე სული იყიდა, ხოლო ერთმა მედუქნემ, ი. ბადდაშვილმა, სამს თუ ოთხს ნასყიდ ცხვარში ერთი ცხვარი სხვა მოიპარა. ეს დაინახეს იქვე მყოფთ, ათამდე კაცმა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო. ხოლო როდესაც გლეხმა დანარჩენი ცხვარი გარეკა, მაშინ მიუბრუნდნენ და უთხრეს მედუქნეს, ჩვენც წილი გვაქვსო. ბადდაშვილმა სთქვა ცხვარი ვიყიდე, წილი რაში მოქცეთო. ამის შემდეგ ერთი დაედევნა მეცხვარეს და აცნობა ცხვრის მოპარვა. დათვლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მართლა ერთი ცხვარი აკლია, მობრუნდა გლეხი და დაუწყო დავა მედუქნეს. ჯერ მედუქნემ უარ ჰყო, მაგრამ მერე გამოტყდა, გლეხს ფული მისცა და გაისტუმრა.

ეს ფაქტი უმნიშვნელოა, მაგრამ იგი კარგად ახასიათებს ხალხის დაცემას.

**მეთვალყურე.**

# გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო

მოგვივიდა შემდეგი დეპეშები:

**კიევი.** კიევის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები გულწრფელ მწუხარებას აცხადებენ პატივცემულ საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის დაკარგვის გამო.

**ხარკოვი.** გულით ვგლოვობთ საზოგადო მოღვაწის დაუვიწყარ მასწავლებლის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებას. ოთარ შალიბაშვილი, ტიტ. სიხარულიძე, დავით ელიოზიშვილი, ვლ. ბრაგვაძე, სიმონ ჯიმშერიშვილი, ელისბარ ვახვახიშვილი და სეით სესიტაშვილი.

**კიევი.** ღრმა მწუხარებას ვაცხადებთ გულწრფელ მოღვაწისა და ლიტერატორის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო. კიევის ქართული კულტურული წრე.

ბათომის გაზეთ „ბატუმ. იზვესტ.“-ში აწერილია გრიგოლ ვოლსკის დაკრძალვის ამბავი. ტფილისიდან ცხედარი მიასვენეს 10 ოქტომბერს. 11 ოქტომბერს დილიდანვე აუარებელი ხალხი შეიკრიბა. დაესწრნენ ბათომის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, სამღვდელოება ეპისკოპოს ლეონიდეს თანადასწრებით. დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა ცხედარს. საკრებულო ტაძარში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი. გალობდა მომღერალთა გუნდი, ქუჩაში უკრავდა სამხედრო მუსიკა. თვით-მმართველობის შენობის წინ ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა, ქუთაისის ქალაქის თავმა ლორთქიფანიძემ და კ. დ. ბაქრაძემ სიტყვები წარმოსთქვეს და დაახასიათეს განსვენებულის მოღვაწეობა. შემდეგ პროცესია გაემართა ქართველების ეკლესიისაკენ. ამ ეკლესიის გალავანში უნდა დაეკრძალათ მიცვალებულის გვამი. ეპისკოპოსმა ლეონიდმა, დ. კლდიაშვილმა და ტფ. ქართულ გიმნაზიის წარმომადგენლებმა—მასწავლებლებმა ნ. ლორთქიფანიძემ და მოწაფემ შანშიაშვილმა სიტყვები წარმოსთქვეს. კუბოს ამკობდა 29 გვირგვინი.

# სასამართლო

## ქალის გატაცება.

[illegible] ხალხში ძველად არის [illegible] ძველი ადათი: ცოლის შერთვის დროს სასიძოს ურვათი [illegible]. ხელ-მოკლე ყმაწვილი ხშირად ურვათის შესაგროვებლად მიმართავს ხოლმე ქურდობას და უფრო კი, ურვათის სრულიად თავიდან ასაცილებლად, ქალის გატაცებას. გატაცებული ქალი ნება-უნებურად უნდა მიათხოვონ სასიძოს.

ასეთი საქმე ჩაიდინა თერგის ოლქის სოფ. ჯევანის მცხოვრებმა, ახალგაზრდა ინგუშმა ნაზხო შაშიევმა. მოხდენილ ვაჟკაცს, ნაზხოს შეჰყვარებია მშვენიერი ახალგაზრდა, ლამაზი ინგუშის ქალი ფატიმატ პეშხოევისა, რომლის თანაგრძნობაც მოუპოვებია, მაგრამ ქალის დედ-მამა დიდი წინააღმდეგი ყოფილა იმის სიძეთ მოკიდებისა, რასაკვირველია, სიღარიბისა გამო. ნაზხოს გადაუწყვეტია ქალის მოტაცება.

1908 წელს თებერვლის პირველ რიცხვებში ნაზხო შაშიევი თავის მეგობრებით მირზა ბეგ მისასტოვით, ხაჯი იუსუფ მისასტოვით და კიდევ ორი სხვა ამხანაგით, საღამოთი დასცემია პეშხოევის სახლს, გადაუვლან ფანჯრიდან, გამოუყვანიათ ფატიმატი, ცხენით გაუტაცნიათ და გაუტარებიათ მთელი სოფელი. მხოლოდ სოფლის ბოლოში მოულოდნელად შეჰხვედრიათ ქალის უმცროსი (15 წლის) ძმა და მისი ამხანაგი. მათ შეკითხვაზე: „სად მიგყავთ ქალიო“, „რაინდებს“ შეშინებიათ, მიუტოვებიათ ქალი და ცხენებით მოუქუსლავთ. ძმას ფატიმატი სახლში წაუყვანია, მაგრამ გამტაცებლები პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლოს გამტაცებელთათვის მიუსაჯნია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და რვა თვით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

ბრალდებულთ პალატაში განასაჩივრეს ოლქის სასამართლოს განაჩენი.

14 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და რვა თვის პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ორი თვით ციხედ შეუცვალა.

# ხორბლის თესვა-ზრდა ახალის სისტემით

გაზ. „დროება“-ში, ახალი სისტემით ხორბლის ერთი მთესავი ითხოვდა ცნობებს ამ სისტემით ხორბლის მოყვანის შესახებ. იქნება გამოსადეგი იყოს ქვემოდ მოყვანილი ცნობები ამ საგნის შესახებ.

1908 წელს 1 მარიამობის თვეს ამოვთხარე ხუთი ორმო, კარ-წინ, ბაღჩაში სოფ. მოხისში, სადაც ურწყავი ადგილებია. მარიამობისთვის 3-ს, ნაწვიმარზე, სამივე ორმოში დავსთესე თითო მარცვალი ადგილობრივ ხორბლისა. ერთი მარცვალი ჭიამ შეჭამა და აღარ ამოვიდა, მეორე მარცვლიდან სუსტი ღერო ამოვიდა, ალბად ისიც ჭია-შეჭმული იქნებოდა. ეს სუსტი ღერო ვაი-ვაგლახით ოთხად და მერე ცხრა ღეროდ გარდაიქცა ზამთრამდის და ზამთარში კი მოისპო. მესამე ორმოდან მარიამობისთვის 10-ს ამოვიდა ერთი ღერო, რომელმაც პირველად მიწის მიყრამდის გაიკეთა სამი ღერო. მიწა მიეყარა გარშემო მარიამობისთვის 25-ს. მეორედ მიწის მიყრამდის სამი ღერო ცხრად გადაიქცა. მეორედ შემოეყარა მიწა გერშემო და შუაგულშიაც,—რომ პირველიდანვე ღეროები განზედ გასულიყვნენ და შემდეგში, მომატების დროს, ერთმანეთი არ შეეჯგუფებინათ და არ შეეწუხებინათ,—ენკენისთვის 13-ში. ამის შემდეგ ენკენისთვის 25-მდის ღეროების რიცხვი ავიდა 26-მდის. მესამედ შემოეყარა მიწა გარშემო და გულში ღეროების კიდევ განსაცალკევებლად ღვინობისთვის 3-ში, რომლის შემდეგაც ღეროების რაოდენობა ავიდა 55-დის. მეოთხედ—ღვინობისთვის 24-ს და კიდეც შედგა ზრდა და მატება ღეროებისა, რადგან ადრე დაიწყო სიცივეები და ყინვა. მეხუთედ მიწა მიეყარა მარტის—25-ს. დიდის თოვლისა და ხანგრძლივ ზამთრის გამო, ღეროები, რომლის სიმაღლე შემოდგომაზე ნახევარ არშინამდის იყო, თოვლის აღების დროს მიწასთან გაწოლებული და ჩაყვითლებული დამხვდა. მეექვსედ მიწის მოყრამდის აყვნებას, გამოსწორებას და თავის ფერზე მოსვლის მოუნდა, თუმცა ამ უფერულობამ კიდევ გვიანობამდის გასტანა. მეექვსედ აპრილის 14-ს მი-

ყარა მიწა, რომლის შემდეგ ღეროების რიცხვმა იმატა 70-მდის. მეშვიდედ და უკანასკნელად მაისის 2-ს მიეყარა მიწა, რის შემდეგაც ერთი მარცვლის ძირზე 201 ღერო გაიკეთა ბარტყებიანად. ბარტყები მიწის მიყრის შემდეგ მუხლებში იკეთებდნენ ღეროებს. თითო მიყრაზე ვერშოკზე ან ვერშოკის 3/4-ზე ვაყრიდი მიწას, რასაკვირველია, ფხვიერს, შემოდგომიდან ნათხარს ორმოს გარშემო და შემდეგში თოხით რამდენჯერმე გაფხვიერებულს, რადგან ბალახი მალ-მალ ერეოდა.

წინ და წინ ამოსული ღეროები უფრო მსხვილი, გრძელ თავთავიანი (4—5 ვერშოკამდის) და მაღალი იყო (არშინ ნახევარზედ არა ნაკლები). ესენი შემოსვლითაც ადრე შემოვიდნენ, რაც, ცოტა არ იყოს, აძნელებს ხორბლის ერთად აღებას. პირველად შემოსულ თავთავებს სრული მარცვალი ჰქონდათ. მეტის სითამამისაგან შემოსვლამდე თავთავები გარემო ორ-სამ პირად გადაიკუზნენ, ასე რომ მარცვლების სათითაოდ დათვლაც-კი შეიძლებოდა. ზოგ თავთავში ორმოცდაათ-თხუთმეტ მარცვლამდე დავთვალე. ბარტყების სიმაღლე, ღეროების სიმსხო, მარცვლების სისრულე და თავთავების სიდიდე ნაკლებია და გვიანაც შემოდის. მოსწყვით არ მომირწყავს. ხანგრძლივმა გვალვამ უვნია, რადგან სოფელში მოხრჩობულს ადგილას მეთესა და ქარი თავისუფლად ვერ აგრილებდა. ამის გამო თუმცა მარცვალი შემოსვლამდე ძალიან სრული იყო, მაგრამ გვალვის გამო სისრულე მეტად მოიკლო; ბარტყების მარცვალიც ნახევრად ფშუტე გამოდგა, გამოვფშვნიტე თავთავები და მარცვალი წონით ერთი გირვანქა გამოვიდა.

მეოთხე და მეხუთე ორმოში დავთესე თითო მარცვალი არა ადგილობრივ ხორბლისა, „შავ-ფხა“, მარიამობისთვის 25-ს. პირველად მიეყარა ორივე ორმოში ამოსულ თითო ღეროს მიწა ენკენისთვის 16-ს. მეორედ მიწის მიყრამდის თითო ღერო გადაიქცა სამ-სამ ღეროდ. მეორედ მიეყარა მიწა ღვინობისთვის 3-ს, რომლის შემდეგაც ღეროების რიცხვმა ცხრამდის იმატა. მესამედ—ღვინობისთვის 24 და კიდეც შედეგა ზრდა. ეს ღეროები, როგორც აღმოცენებულნი მსხვილ მარცვლებიდან, უფრო მსხვილ ღეროიან-ფოთლიანები იყვნენ, მაგრამ დიდმა თოვლმა ზამთარში მთლად მოსპო. ასევე მოისპო მინდორში შავფხით ნათესი ყანები. მეტი არ იქნება მოვიხსენიო, რომ შავფხის თესვას აქეთკენ ძალიან მიჰყვეს ხელი: გვალვის ამტანია, რის გამოც, მხვნელ-მთესველების გამოცდით, შავფხას უხდება ან გვიან შემოდგომაზე დათესვა ან ადრე გაზაფხულზე. დიდი თოვლი და დიდი ნესტი სწყენს და ადრე შემოდგომაზე დათესილი შავფხა ლპება, თუ ხანგრძლივი წვიმები დაუდგა.

ზემოდხსენებულის გარდა ჩემ დაკვირვებას გამოვთქვამ. ბაღჩაში, ორმოების მახლობლად, გაზაფხულზე თავისთავად ამოვიდნენ შემთხვევით დაცვივნული ქვავის მარცვლები. თუმცა მათი ძირები მიწის ზედა პირზევე იყვნენ, მაგრამ ადვილად ამოიღეს ღეროები და ერთხელ მიწის შემოყრის შემდეგ ფესვები მოიმაგრეს და რადგან უბალახოდ და აქა-იქა იდგნენ, ამათაც თავის თავად გაიკეთეს სამყოფი ღეროები: ზოგმა ათი, ზოგმა ოცი, ზოგმა ოცდა ათი, ზოგმა ორმოცი, ორმოცდა ათი, სამოცი და ერთმა სამოცდა ათიც. დასრულდნენ და მარცვალიც სრული გაიკეთეს. სამოცდა ათ ღეროიანი ძირი გამოვფშვნიტე, ავწონე და გირვანქის ერთი მეოთხედი გამოვიდა. მშვენიერი სრული ქვავი იყო. აქედან დავასკვენ, რომ ორმოების გათხრას კი არა ჰქონია მნიშვნელობა, არამედ მოხნულში მარცვლების შორი შორს დათესვას, მიწის სამჯერ მაინც მოთოხნას, გაფხვიერებას და ბალახის არ გაჰაჰანებას. ასე მოვლილი ხორბლის მარცვალი ორმოსას არ ჩამოუვარდება, შრომა კი ნაკლები დასჭირდება. ამას მე გავიმეორებ უბრალო თესვით შემოდგომასა და გაზაფხულზე.

მღ. ილარიონ ხახუტაშვილი.

# ქართული კულტურული წრე კიევში

(წერილი კიევიდან)

28 ენკენისთვეს მოხდა მორიგი კრება „კულტურული წრისა“. ეს წრე ერთი წელიწადია, რაც დაარსდა. ძალიან ცოტა წევრი ჰყავს. ამ კრებაზე მიიღეს ხუთიოდე ახალი წევრი. წრის მიზანი, როგორც თავმჯდომარემ გააცნო ახალ წევრებს, არის შესწავლა საქართველოს ისტორიისა, ლიტერატურისა, სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობისა; ადგილობრივ სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსება, ახალ გამოცემების გამოწერა, რეფერატების კითხვა და კამათი და სხვა... კრებამ აირჩია ახალი გამგეობა. ვუსურვებთ წრეს აყვავებას, გაძლიერებას და ნაყოფიერს მუშაობას.

გვაოცებს, რომ წრეს ძალიან ცოტა წევრი ჰყავს. რით აიხსნება ეს მოვლენა? კიევის უნივერსიტეტში ასამდის ქართველი მოსწავლე ითვლება. ოცამდისაც (თუ მეტი არა) საკომერციო ინსტიტუტშია. ნუ თუ ამათ არ აინტერესებთ ეს სიმპატიური დაწესებულება? სასურველია, რომ ახალმა გამგეობამ მიმართოს ადგილობრივ ქართველ მოსწავლეებს მოწოდებით და სთხოვოს, მიიღოს ყველამ მონაწილეობა ხსენებულ წრეებში.

ეგზარსლანი.

# უცხოეთი

**იტალიის კავშირი რუსეთთან.**

იტალიის ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ რუსეთთან კავშირის სარგებლობას. ერთი გაზეთი პირდაპირ ამბობს რომ საფრანგეთმა და ინგლისმა დიდი სარგებლობა ნახეს რუსეთთან შეკავშირებითაო. იტალიის ინტერესებისათვის რუსეთთან კავშირი ბალკანეთის საქმეებში ისევე სასარგებლოა, როგორც სამთა კავშირი იტალიის სხვა საქმეებისათვისაო. გაზეთი ეუბნება სოციალისტებს, რუსეთი რომ არა ყოფილიყო საფრანგეთს ხელმეორედ აიკლებდნენ 1875 წ. თქვენ გინდათ ავსტრიასთან კავშირი გასწყდეს, იტალიას არ შეუძლიან რომელიმე სახელმწიფოსთან კავშირი არა ჰქონდესო. სოციალისტების აგიტაციას სახელმ, იფთ დაჟინებით ადიარებს გაზეთი.

**კიდევ ფერერის საქმე.**

მინისტრ პრეზიდენტს დეპუტატთა პალატაში უთქვამს, მდგომარეობა მეტად გამწვავებული იყო ბარცელონაში, მთავრობა ვერ მიმართავდა მეფეს და ვერ სთხოვდა ბრალდებულთა სასჯელის შემსუბუქებასაო. ბარცელონაში უნდოდათ რევოლიუცია მოეხდინათ, მთავრობა ამ რევოლიუციას ებრძოდა და დღესაც ებრძვისო.

**სამინისტროს კრიზისი საბერძნეთში.**

ახალ სამინისტროს კაბინეტს ძალიან მტრულის თვალით უცქერიან საბერძნეთის გაზეთები. პრემიერ მინისტრმა მავრომიხალისმა მოიწვია მინისტრთა საბჭო მდგომარეობის გამოსარკვევად. თუმცა შეთანხმება მოხდა, მაგრამ გაზეთების აზრით ეს შეთანხმება ხანგრძლივი არ არის. კაბინეტის გადადგომა აუცილებელიაო.

**კუნძული კრიტე.**

კუნძულ კრიტედან ატყობინებენ გაზეთებს, კანდუროსას პარტიზანები დაბეჯითებით თხოულობენ ნაციონალურ კრების მოწვევას და მტკიცე კონსტიტუციონალურ მართვა გამგეობას კუნძულისათვის.

**სამხედრო კავშირი საბერძნეთში.**

სამხედრო კავშირი თანდათან დიდ გავლენას პოულობს. კავშირის მომხრე გაზეთები აშკარად აცხადებენ, ეს სიჩუმე და მყუდროება მალე დაირღვევა, მდგომარეობა ერთობ გართულდება და ამიტომ ჯარი მზად უნდა გვყავდესო. მოსალოდნელის აშკარა მოქმედება დაგვჭირდესო. სამხედრო კავშირის კრებაზე დაადგინეს ჯერჯერობით მოუცადონ დროს, მხოლოდ სამინისტროსა და პარლამენტს აცნობონ,—პროგრამა რაც შეიძლება მალე და სავსებით იყოს შესრულებული. მედგრად გამოვალთ სამოქმედოთ თუ საჭიროება იქნებაო.

**შეტაკება საზღვარზე.**

სალონიკელი ვალი (სამხედრო გენერალ-გუბერნატორი) იტყობინება. სერესის ოლქში დიდი შეტაკება მოხდაო. რამდენიმე ვალახი მწყემსი ოსმალეთის საზღვარს უნდა გადასულიყო. ოსმალეთის ჯარის კაცებმა მწყემსები შეაპყრეს. ბოლგარელი ჯარის კაცები გადავიდნენ საზღვარს და მოსთხოვეს ოსმალებს დატყვევებული მწყემსების განთავისუფლება. როდესაც უარი მიიღეს ბოლგარელებმა სროლა ასტეხეს. მთელი დღე ისროდნენ ორივე ბანაკიდან. ვალი იუწყება, რომ ჯერ არ იცის დანამდვილებით, რითი გათავდა შეტაკება. იცის მხოლოდ, რომ ერთი მწყემსია მოკლული. განკარგულება გასცეს საზღვარზე ჯარის მისაშველებლად.

**შევკეთ-ფაშა და კრიტეს ავტონომია.**

შევკეთ-ფაშამ ინახულა საფრანგეთის ელჩი. დაპარაკის დროს იმან გადაჭრით განაცხადა, ოსმალეთი არას დროს არ დასთანხმდება კრიტეს ავტონომიაზე. ვერც ისეთ ავტონომიას მიანიჭებს, როგორც რუმელიას აქვს მინიჭებული. გაგზავნიან თუ არა კრიტელები დეპუტატებს საბერძნეთის პარლამენტში საბუთი მოგვეცემა სამხედრო მოქმედება დავიწყოთო.

# რუსეთი

✦ **ახალი საუნივერსიტეტო წესდება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით საერო განათლების მინისტრი ამ მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბიროში შეიტანს ახალ საუნივერსიტეტო წესდებას.

✦ **ახალი კავშირი.** შრომის ჯგუფის ლიდერს ბულატს უთქვამს, შრომის ჯგუფს აზრად აქვს კადეტებთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროსო.

✦ **ოქტომბრისტები მარცხნივ გაიწევენ.** „რანნეე უტრო“-ს კორესპონდენტს ულაპარაკნია თავად გოლიცინთან. გოლიცინი ოქტომბრისტების ერთი ლიდერთაგანია. მას უთქვამს: პროვინციელები ძალიან უკმაყოფილონი არიან ჩვენით. კრებაზე გვეუბნებოდნენ, გაბედულად ვერ იქცევითო. პროვინციის წარმომადგენლებმა გადაჭრით მოითხოვეს, რომ სწორ გზას დავადგეთ, უფრო გარკვეულად და აშკარად ვიმუშავოთ, ამიტომ მე ვფიქრობ რომ ჩვენ ე. ი. ოქტომბრისტები მარცხნივ გავიწევთ და ცხოვრებაში გავატარებთ 17 ოქტომბრის მანიფესტით მოცემულ თავისუფლებებსო.

✦ **ცენზურა.** სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ თურმე, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს კარგა ბლომა საბუთები შეუკრებიათ და ამტკიცებენ, რომ მთავრობა საიდუმლოდ ხსნის და ცენზურას უკეთებს იმ წერილებს, რომლებიც საზღვარ-გარეთიდან სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს სახელზე მოდიანო. ოპოზიცია ამ მოკლე ხანში შეიტანს შეკითხვასო.

✦ **ორი გენერალი.** როგორც ვწერდით ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა ბეკმანმა მინისტრთა საბჭოს გადასცა დუმბაძეს დეპეშა, დუმბაძე ჩემ მოქმედებას კრიტიკას უკეთებსო. „რეჩი“-ს სიტყვით მინისტრთა საბჭოს უკვე განუხილავს ეს საქმე და საბჭოს წევრების უმრავლესობა იმ აზრს დასდგომია, რომ დუმბაძე სამსახურიდან უნდა დავითხოვოთო.

✦ **მოხელე—შანტაჟისტი.** ამ დღეებში დააპატიმრეს ვარშავის პოლიცმეისტერის კანცელარიის ერთი მოხელე—ტროიცკი. გაზეთი „კურიერი“ ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ტროიცკი ხშირად დაიარებოდა ორ ქარხანაში. ერთი ქარხნის დირექციამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მალე გაიგო, რომ ტროიცკის ქარხნის მუშებისთვის ხარკი დაუდვია, თუ ამდენი და ამდენი არ მაძლიეთ ყველას დაგაპატიმრებთო. ხომ იცით სადაც ვმსახურობო, მუშებიც აძლევდნენ თურმე. ასევე იქცეოდა ტროიცკი მეორე ქარხანაშიაც. დირექციამ გაიგო თუ არა ეს, ყველაფერი გუბერნატორს შეატყობინა, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა.

✦ **სახელმწიფოს სათათბიროს თავმჯდომარე.** ყოველ წელიწადს სახელმწიფო სათათბირო თავმჯდომარეს, მის ამხანაგებს და მდივნებს ირჩევს. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით მემარჯვენეებს გადაუწყვეტიათ გაშავონ ხომიაკოვი. კადეტები ხომიაკოვს იმ შემთხვევაში მისცემენ ხმას, თუ თავმჯდომარის ერთ-ერთ ამხანაგად ეფრემოვს აირჩევენ. ეფრემოვი კადეტია.

✦ **პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩს გადაუწყვეტია სახელმწიფო სათათბიროში ახალი ჯგუფი შედგინოს. ამ ჯგუფში შევლენ უკიდურესი მემარჯვენეები და მღვდლები. პურიშკევიჩს აზრად აქვს ამ ჯგუფს—შემდეგი სახელი უწოდოს: „სარწმუნოებისა და მონარქიისთვის მებრძოლნი“.

✦ **მოწოდება.** სინოდს თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაუწყვეტია სამღვდელოებას მოწოდება დაუგზავნოს; მოწოდებაში ნათქვამი იქნება, სარწმუნოება დაეცა, მართმადიდებლობის მტრები იმარჯვებენ და ყოველივე ღონე იხმარეთ სარწმუნოების დასაცველადაო. ამას გარდა სინოდი სამღვდელოების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რუსეთში „კრამოლნიკები სახელმწიფოს დანგრევას უპირებენ და ურჩევს, თქვენ სამწყსოში იქადაგეთ მათ წინააღმდეგო. სხვათა შორის სინოდის რჩევით სამღვდელოებამ ზიარების დროს აღსარებითაც უნდა ისარგებლოს. აღსარების დროსაო, ეწერება მოხსენებაში, აღსარების მთქმელს ყველაფერი გამოჰკითხეთ და თუ შეამჩნიოთ „რამე“, დარიგება მიეცით, ეცადეთ სწორ გზაზე დააყენოთო.

✦ **ფინლიანდიის საქმეები.** როგორც ვიცით ამ უკანასკნელ დროს მთავრობამ ფინლიანდიაზე გაილაშქრა. სხვათა შორის გადაწყვეტილია ფინლანდიას გამოჰკონ ვიბორგის გუბერნია. ამას გარდა ფინლანდიაში იგზავნება ჯარი. სხვათა შორის ბელოოსტროვ-დან ვიბორგამდე თითო სადგურზე 250 სალდათს დააყენებენ. „რუსკ. ვედ.“ სიტყვით ფინლანდელები ძალიან შეუძრწუნებია მთავრობის ასეთ მოქმედებას. ფინლანდელები ძალიან სწუხან თურმე, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი უყურადღებოდ სტოვებს მთავრობის ასეთ მოქმედებას და ამიტომ ფინლანდიის სხვა და სხვა ჯგუფებს გადაუწყვეტიათ თავი შეიკავონ და დემონსტრაციები არ მოახდინონ.

✦ **ახალი სესხი.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ მთავრობა საზღვარგარედ ფულს ისესხებსო. ამბობენ ფინანსთა მინისტრს უკვე მოლაპარაკება აქვს საფრანგეთთანაო.

✦ **სასულიერო აკადემიებში.** იმ კომისიას, რომელიც სასულიერო აკადემიების ახალ წესებს იმუშავებს, დაუდგენია, აკადემიებში შესვლის დროს გიმნაზია კურს დამთავრებულებს ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ, როგორც სემინარისტებსო.

✦ **საიდუმლო მკვლელობა.** მკითხველმა იცის, რომ ამ რამდენიმე დღის წინედ პეტერბურგში უცნობებმა მოჰკლეს კაცი, რომლის ვინაობა გამოურკვეველი იყო. ამ მკვლელობამ ბევრი ხმა გამოიწვია. სხვათა შორის ამბობდნენ, რომ მოკლული პროვოკატორი იყო, პარიზიდან გამოიქცა და რევოლიუციონერებმა მის მოსაკვლელად პეტერბურგში მუშა ფედოროვი გამოგზავნესო (ფედოროვი იოლისის მკვლელია). ზოგიერთები კიდევ ამბობდნენ მოკლული ინჟენერი მილევიჩიაო, ზოგიერთების აზრით კი, მოკლული ცნობილი აზეფი უნდა ყოფილიყო. ეს ხმები ტყუილი გამოდგა. „რეჩი“-ს სიტყვით პოლიციას უკვე გამოუკვლევია ამ მკვლელობის თავი და ბოლო. მართალია მოკლულის ვინაობა ჯერ მაინც არ იციან, მაგრამ მკვლელისთვის მაინც მიუვნიათ. უცნობი მოუკლავს ინჟენერ გილევიჩს. საქმე ამნაირად ყოფილა: ამ რამდენიმე ხნის წინედ ინჟენერ გილევიჩს თავი დაუზღვევია 100,000 მანეთში. გილევიჩს ჰყოლია ძმა, სტუდენტი. ორთავე ძმებს დიდი ხნის ბჭობის შემდეგ გადაუწყვეტიათ მოჰკლან ვინმე და გაავრცელონ ხმა, რომ ინჟენერი გილევიჩი მოჰკლესო. ფული სტუდენტს უნდა აეღო. უკვე დაუპატიმრებიათ სტუდენტი გილევიჩი, მისი ძმა ინჟენერი კი არსად სჩანს თურმე.

✦ **შეცდომით.** „რანნეე უტრო“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: 5 ოქტომბერს ტერიოკში იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც პროფ. გერცენშტეინი მოჰკლეს, ავიდა ნაფიცი ვექილი სოკოლოვსკი. ერთმა კაცმა სოკოლოვსკი დუბროვინს მიამგზავსა, რაიც სხვებსაც შეატყობინა. მალე სოკოლოვსკის გარს აყარებელი ხალხი შემოეხვია. სოკოლოვსკის ეჭვი შეეპარა, ჩემი გაცარცვა ხომ არ უნდათო და ჯიბეზე წაივლო ხელი, ქისა ხომ მთელიაო. დამსწრეებს ეგონათ რევოლვერის ამოღება უნდაო, და იმწამსვე პოლიციელს დაუძახეს, ეს კაცი დუბროვინიაო. პოლიციელმა „დუბროვინი“ დააპატიმრა და საპოლიციო ნაწილში წაიყვანა. სოკოლოვსკი მალე გაანთავისუფლეს. ტერიოკის მცხოვრებლებმა ბოდიში მოიხადეს სოკოლოვსკის წინაშე.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „დროების“ მე-197 ნომერში მოთავსებულია წერილი მღვდლის დიმიტრი დეკანოზიშვილისა, რითაც იგი თავს მართლულობს თელავის სამღვდელოების კრებაზე მომხდარ ინციდენტის შესახებ. მოხსენებულ ინციდენტის შესახებ მე გამოვიწვიე მღ. დეკანოზიშვილი სამედიატორო სამართალში. წინადვე პირობის ხელ-წერილი დავწერეთ, მოვიხსენეთ ჩვენგან არჩეული მედიატორენი და ამ პირობის ძალით განაჩენიც გაზეთში უნდა გამოცხადებულიყო. სამედიატორო სასამართლომ გაარჩია ჩვენი საქმე, ყველა მუხლში, რომლითაც მე მას ბრალსა ვდებდი, გაამტყუნა დიმიტრი დეკანოზიშვილი და ბოდიშიც მოახდევინა ჩემ წინაშე. მხოლოდ განაჩენი აღარ გამოაცხადეს გაზეთში არა „მშვიდობის მოყვარეობით“ და „შესარიგებლად“, როგორც მ. დიმიტრი სწერს, არამედ სხვა საპატიო მოსაზრებით, რომ ამ საქმეს ოფიციალური ხასიათი არ მიეღო... მაგრამ რაკი მ. დიმიტრის მოჰსურვებია ამ საქმის გაქვეყნება, დასაფარავი მე რაღა მაქვს! თუ უნდა თავის რაპორტის შინაარსიც დაბეჭდოს გაზეთი და თვით მკითხველი დასდებს ბრალს. მ. დიმიტრი სწერს, სამედიატორო სამართლით ნინიკაშვილი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, მოწმეებს არა ჰკითხესო, სამედიატორო სამართალი უსამართლო იყო და სხვა. ამაზედ მოვახსენებ: როცა ყველა მუხლებში სასამართლომ გაამტყუნა და ჩემთან ბოდიში მოახდევინა, მეტი რაღა დაკმაყოფილება მინდოდა? ხმალში ხომ არ გამოვითხოვდი! როცა მოსამართლეს წერილობითი უტყუარი საბუთი აქვს, როგორც მ. დიმიტრის რაპორტი ჰქონდათ ჩვენ მედიატორებს, და თვით მეორე მხარე თავის პირით აღიარებს თავის დამნაშავეს, როგორც ეს მ. დიმიტრიმ ინება ბევჯერ საქმის გარჩევის დროს, საჭირო აღარ იყო და აღარც ჰკითხეს მოწმეებს. როცა კაცი ხელწერილით არჩეულ მედიატორების სამართალს უსამართლოს ეძახის (მერე ისეთ პატივცემულ მედიატორებისას, როგორებიც ჩვე ნაგვყავდნენ), ასეთ კაცს არაფერი არ გაეგება სამართლიანობისა და მას ვერავითარი სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს...

ბოლოს ვთხოვ ჩემს და მ. დიმიტრი დეკანოზიშვილის მედიატორეებს, ჩვენი საქმის შესახებ განაჩენი გაზეთში გამოაცხადონ ხელწერილის თანახმად. ასე მოსურვებია მ. დიმიტრის, და თვით ეს განაჩენი დაარწმუნებს ყველას ამ ჩემი წერილის სიმართლეში.

მღ. კონდრატი ნინიკაშვილი.

---

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში. ქ—შ. წ--კ. გამავრცელებელ საზოგადოების ყვირილის განყოფილების გამგეობა მადლობას უძღვნის ძმ. მ. ვ. გაჩიჩილაძეებს, ს. მაჭავარიანს, ა. არაბიძეს, პ. კიკნაველიძეს, თ. არდიშვილს, ვ. ურუშაძეს, ქ-ნ ლეონოვისას, ო. ბაქრაძისა და კ. რუხაძისას, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოწირეს წიგნები და სურათები. იმედოვნებს გამგეობა, რომ კულავაც დახმარებას გაუწევს საზოგადოება შემოწირულებით და წევრად ჩაწერით.

გამგეობა.

# განცხადებანი


**კირვული კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. გ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს, საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(წ.—1—193



**პროვოდნიკის**

1897 წ. 1908 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

# ამხანაგობა რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;